საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1845
17/03/2023

1845-21-2-202303171651

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს

თქვენი 2023 წლის 15 მარტის №114-11423074120 წერილის პასუხად (სააგენტოს რეგისტრაციით №2175; 16.03.2023), რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი „ბობოყვათის“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ, განათავსოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ დამადასტურებელი ფოტომასალის სააგენტოში წარმოდგენა.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის პროცედურის გასავლელად სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული https://nea.gov.ge/Ge/GZSH/2599). საზოგადოების მხრიდან, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენა შესაძლებელია **2023 წლის 28 მარტის** ჩათვლით.

დანართი: ელ. ვერსია

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო